



## სამუშაო შეხვედრა რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონში

ამბროლაურის კულტურის ცენტრი,  
თამარ მეფის ქ. 1

2015 წლის 13 მარტი

### სესია კულტურული მემკვიდრეობა

**მოდერატორი :** თამარ წულუკიძე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის კულტურის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი

**რეპორტიორი:** ელინა გედენიძე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის კულტურის პოლიტიკის სამმართველოს სპეციალისტი

#### **მონაწილეები :**

ბესიკ კობახიძე, ამბროლაურის სახვითი ხელოვნების მუზეუმის დირექტორი  
ნინო ლაიშვილი, ამბროლაურის სახვითი ხელოვნების მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი  
ინგა დავითულიანი, ამბროლაურის სახვითი ხელოვნების მუზეუმის ექსკურსიამძღოლი  
გულნარა სალინაძე, ამბროლაურის მთავარი ბიბლიოთეკის სამსახურის უფროსი  
ტანია ენუქიძე, ამბროლაურის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი  
მარინა შაუთიძე, ბიბლიოგრაფი, ამბროლაური  
მანანა ლომთაძე, ბიბლიოთეკარი, უფროსი სპეციალისტი, ამბროლაური

მარინე ჯაფარიძე, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახურის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილების უფროსი

მარინა კერვალიშვილი, ამბროლაურის ა.ა.ი.პ. თვითმმართველი თემის ამბროლაურის კულტურის ცენტრის საბიბლიოთეკო სამსახურის უფროსი

ნინო ბიჭაშვილი, ა.ა.ი.პ. თვითმმართველი თემის ამბროლაურის კულტურის ცენტრის საბიბლიოთეკო ფონდების მმართველი

ნანა ცაგურიშვილი, ა.ა.ი.პ. თვითმმართველი თემის ამბროლაურის კულტურის ცენტრის საბიბლიოთეკო ღონისძიებების ორგანიზატორი

ნათია მაისაშვილი, ა.ა.ი.პ. ტურიზმის განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის დირექტორი

აკაკი ტყემელაშვილი, ამბროლაურის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურის უფროსი

ქეთევან ბერაძე, ამბროლაურის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

ზოია ლომთაძე, ბიბლიოთეკარი, ამბროლაური

ეკატერინე მესხაძე, წერის სასოფლო ბიბლიოთეკა, ამბროლაური

ირმა კობახიძე, ბიბლიოგრაფი, ამბროლაური

ვალედა ჯაფარიძე, ბიბლიოთეკარი, ამბროლაური

ნათია ფარჯიანი, ისტორიკოსი, ფონდების მცველი, ლენტეხი

ეთერ მეშველიანი, ბიბლიოთეკის დირექტორი, ლენტეხი

ინგა ონიანი, მუზეუმის დირექტორი, ლენტეხი

ლიანა ჩანქსელიანი, განყოფილების გამგე, ლენტეხი

გია მელაშვილი, ონის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი

ანნა ერისთავი, ონის ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორი

დავით ბიჭაშვილი, სოციალური დაცვის განყოფილების უფროსი

ზვიად ჯოხაძე, ონის ა.ა.ი.პ. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის დირექტორი

სტელა ბერელიძე, ბიბლიოთეკარი, ონი

ბაქარ ყურაშვილი, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

რევაზ ახვლედიანი, ცაგერის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თანამემწე

გიორგი ლიპარტელიანი, ცაგერის სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების უფროსი

დავით კოპალიანი, ცაგერის ისტორიული მუზეუმის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

როსტომ ბრეგვაძე, ცაგერის ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე

ნანული სადილიანი, ცაგერის მთავარი ბიბლიოთეკის დირექტორი

მანანა კოპალიანი, ცაგერის მთავარი ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე

უუუუნა მეშველიანი, ცაგერის მთავარი ბიბლიოთეკების სამსახურების განყოფილების გამგე

ლალა ფანჯარაძე, ცაგერის ბიბლიოთეკის განყოფილების გამგე

ორსაათიან დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს ონის, ამბროლაურის, ცაგერის, ლენტეხის მუნიციპალიტეტების, ს.ს.ი.პ-ების წარმომადგენლებმა. ონიდან ბ-ნმა დავით ბიჭიაშვილმა ისაუბრა ონის ბიბლიოთეკისა და მუზეუმის კაპიტალური რემონტის აუცილებლობაზე, ონის მუზეუმიდან თბილისში გატანილი ექსპონატების დაბრუნებისა (იგივე პრობლემა აღნიშნა ცაგერის არქეოლოგიური მუზეუმის დირექტორმა, დავით კოპალიანიმაც) და მთელი რიგი ძეგლების კვლევისა და არქეოლოგიური გათხრების მასშტაბურად ჩატარების აუცილებლობაზე. აგრეთვე, ლეჩხუმში ძეგლებთან მისასვლელი გზების, ტურისტული ბილიკების გაკეთების და ძეგლების რუქაზე დატანის, პასპორტიზაციის აუცილებლობაზე, ეკლესიების თვითნებური, უკანონო რესტავრაციის აღკვეთაზე. ონის კულტურის სამსახურის უფროსმა, გიორგი მელაშვილმა ისაუბრა სოფელ შქმერის სრულად შესწავლის და გამოკვლევის აუცილებლობაზე. ლენტეხის მუზეუმის დირექტორმა, ინგა ონიანმა ისაუბრა არტეფაქტებით ვაჭრობის, არქეოლოგიური გათხრების რეგულირების, ძველი ფრესკების არაკვალიფიციურად აღდგენის, მაკონტროლებელი ორგანოს არარსებობის, გატანილი ხატების მოძიება/დაბრუნების საკითხებთან დაკავშირებით. მან, აგრეთვე, აღნიშნა, რეგიონალური ხელისუფლების მხრიდან ლენტეხის მუნიციპალიტეტის მიმართ არასათანადო ყურადღების და თანხების ასიმეტრიული გადანაწილების, კულტურის სამინისტროს მხრიდან ნაკლები ყურადღების, კომუნიკაციის შესახებ.

### მუზეუმებთან დაკავშირებით

#### გამოვლენილი პრობლემები:

- ავარიული შენობები;
- გატანილი ექსპონატების დაბრუნების მექანიზმების არარსებობა ან არცოდნა;
- მუზეუმებს არ გააჩნიათ საგანმანათლებლო/შემეცნებითი დამატებითი ფუნქცია;
- ხელოვნების მუზეუმის ფონდებისთვის არასათანადო კლიმატური პირობების უზრუნველყოფა და შესაბამისი საგამოფენო სივრცის არქონა;
- ადგილობრივ ხელისუფლებასთან სუსტი კომუნიკაცია;

## მთავარი პრობლემა:

- არასათანადო ინფრასტრუქტურა
- არასათანადო კომუნიკაცია ადგილობრივ ხელისუფლებასთან
- მუზეუმის მნიშვნელობისა და როლის არასათანადოდ გაცნობიერება
- საკანონმდებლო ხარვეზები
- დამატებითი ეკონომიკური სარგებლის მიღების გაუცნობიერებლობა (ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, საგანმანათლებლო ფუნქცია);

## კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები:

### გამოვლენილი პრობლემები:

- ძეგლების უსასაფრთხოება, ინვენტარიზაცია, რუქაზე დატანა;
- ძეგლთან მისასვლელი და მის გარშემო ინფრასტრუქტურის მოუწესრიგებლობა;
- არაგვერდობა და ნაკლებად მასშტაბური არქეოლოგიური კვლევები;
- გათხრების სანარმოებლად ნებართვის მიღების გაუმართავი მექანიზმები;
- შავი არქეოლოგია /არტეფაქტებით ვაჭრობა;
- მღვიმეების არასათანადო შესწავლა;
- ძეგლების ფუნქციურად დაუტვირთაობა;
- ძეგლების არაკვალიფიციურად რესტავრაცია/კონსერვაცია;
- ძეგლების არარეგულირებული (უკანონო, თვითნებური) რესტავრაცია;
- კონტროლის მექანიზმების არ არსებობა.

### მთავარი პრობლემები:

1. განუვითარებელი ინფრასტრუქტურა;
2. ძეგლის მნიშვნელობის არასათანადო გაცნობიერება;
3. სუსტი კომუნიკაცია ადგილობრივ ხელისუფლებასთან;
4. სუსტი კომუნიკაცია ადგილობრივ/ცენტრალურ ხელისუფლებას/ეკლესიას შორის;
5. საკანონმდებლო ხარვეზები - სამართლებრივი ბარიერები ან სამართლებრივი მოუწესრიგებლობა (ნებართვები გათხრებზე, დროებით გატანილი ან დაკარგული ექსპონატების დაბრუნება);
6. განათლების პროგრამების ნაკლებობა/არარსებობა - კვლევები/განათლება/ტრენინგები.

## ბიბლიოთეკები:

### გამოვლენილი პრობლემები:

- მწირი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- მოძველებული ფონდი;
- ელექტრონულ პროგრამებზე ხელმისაწვდომობის არარსებობა;
- დამატებითი ფუნქციებით დაუტვირთაობა (საზოგადოებასთან ურთიერთობის ცენტრის ფუნქციის შეთავსება);
- კადრების გადამზადებისა და მეთოდოლოგიური მხარდაჭერის დეფიციტი;
- თვითმმართველი ქალაქებისა და თემის სოფლების ბიბლიოთეკების ასიმეტრიული დაფინანსება;

### მთავარი პრობლემა:

1. არასათანადო ინფრასტრუქტურა;
2. ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ბიბლიოთეკის მნიშვნელობის არასათანადო გაცნობიერება;
3. ასიმეტრიული ყურადღება რეგიონის მხრიდან;
4. ცენტრალურ, რეგიონალურ, ადგილობრივ ხელისუფლებასთან სუსტი კომუნიკაცია.

### ზემოაღნიშნულ პრობლემათა მიზეზებად განისაზღვრა:

- კულტურის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის არარსებობა;
- დაფინანსების ალტერნატიული მოდელების/სქემების არარსებობა;
- რეგიონში კულტურის სფეროს განვითარების სტრატეგიის არარსებობა
- დაუხვეწავი საკანონმდებლო/მარეგულირებელი ჩარჩო;